ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4210498

ნომერი: AR1632057

თარიღი : 20.09.2018

გაცემის თარიღი : 11.10.2018

გაცნობის თარიღი : 11.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. უზნაძე , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯოხაძე პ/ნ 18001022138
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, IV კვარტალი, კორპუსი 7, ბინა 73

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4137535 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 20 სექტემბერს №AR1632057 განცხადებით მომართა გიორგი ჯოხაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4137535 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება დემონტაჟის ნებართვის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4137535 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში დ. უზნაძის ქ. N14-ში არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი. გაიცა დემონტაჟის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა დემონტაჟის სანებართვო მოწმობა. დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 27 აგვისტოდან 2018 წლის 27თებერვლის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეცდომით იქნა დაფიქსირებული დემონტაჟის ნებართვის ვადა, კერძოდ: ,,დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 27 აგვისტოდან 2019 წლის 27 თებერვლის ჩათვლით'' ნაცვლად მიეთითა ,,დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 27 აგვისტოდან 2018 წლის 27 თებერვლის ჩათვლით''.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2018 წლის 14 აგვისტოს №AR1622842 განცხადებაზე წარმოდგენილი დემონტაჟის განხორციელების კალენდარული გეგმის მიხედვით, დემონტაჟის ნებართვის მოქმედების ვადა უნდა განსაზღვრულიყო 6 თვით, მაგრამ ტექნიკური შეცდომის შედეგად განისაზღვრა არასწორად, შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4137535 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე გიორგი ჯოხაძის 2018 წლის 20 სექტემბრის №AR1632057 განცხადება.
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4137535 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 27 აგვისტოდან 2019 წლის 27 თებერვლის ჩათვლით''.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4137535 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.